წელიწადი პირველი.

„საქართველო უწინარეს ყოვლისა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი გიორგი

პარიზი
25 აგვისტო 1926 წ.
№ 1
ფასი: 2 ფრ.

ორგანო საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“-ს

„St-GEORGES“. Journal de la Jeunesse Patriote Géorgienne

PARIS
25 Août 1926
№ 1
Prix: 2 Fr.

თეთრი გიორგი

რუსების ტლანქმა პატრონობამ და 25 წლის სასტიკმა ბრძოლამ, რომელიც დაიწყო საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ მისი შემოსევის მეორე დღესვე და რომელიც უსამინელეს რეპრესიების საშუალებით სისხლში იქნა ჩახრჩობილი, ჩვენი ერი იმდენათ დაჩაგრა და დაასუსტა, რომ მეორმოცე წლების შემდეგ ქართველ ხალხში ეროვნული სული საბოლოოთ ჩამქრალს ეგვდა: ეროვნული პოლიტიკა ადარ არსებობდა, ეროვნული იდეალი რამდენიმე პოეტის ლექსებშიღა და ისიც მოკრძალვით გამოიხატებოდა, საზოგადოებრივ აზრს ეძინა. — ეს ეროვნული ლეტარდია 50 წელზე მეტს გაგრძელდა. მაგრამ მე-90 წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის სოციალ-დემოკრატია. ეს იყო ქართველ ხალხში დიდი ხნიდან დაგროვილ და მიძინებულ ძალათა და ენერგიათა აფეთქება. ეს ენერგია ეროვნულ მიზნებისაკენ არ იყო მიმართული, იგი გაყვა რუსეთის ინტელიგენციის აზროვნების გზას; მისი იდეოლოგიაც ისევე ვერ ასცდა რუსეთის საერთო გავლენას, როგორც საერთოთ მაშინდელი საქართველოს ცხოვრების ყველა გამოძიდავნებანი და ჩვენი ქვეყნის არსებობა ვერ წარმოედგინა გარეშე რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებისა: მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა რ ა მ ხ ო ლ ო თ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა თ ი ყ ო დ ა მ ო ნ ა ვ ე ბ უ ლ ი რ უ ს ე თ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა გ ა ნ, ა რ ა მ ე დ გ ო ნ ე ბ რ ი ვ ა თ ა ც რ უ ს ე თ ი ს ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს მ ი ე რ.

ამნაირათ უნდა ვაღიარეთ, რომ ეროვნულ იდეოლოგიის შესაქმნელათ მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში არ არსებობდა საჭირო ნიადაგი: ჩ ვ ე ნ ი ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ა დ ა მ ა ს ს ა ც ჯ ე რ თ ო თ ქ მ ი ს ს ა ვ ს ე ბ ი თ რ უ ს ე თ ი ს ჩ ი ბ ნ ო ზ ი ს ქ ვ ე მ ი მ ყ ო ფ ე ბ ო დ ე ნ.

ამ ენერგიის ხელმძღვანელის სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგია წმინდათ კოსმოპოლიტურ—სოციალისტური იყო, მხოლოთ ამ შემეცნების რუსული შეგნებით და მნიშვნელობით, და მისი „*Siège Social*“-ი მოსკოვში იმყოფებოდა.

მაგრამ ის მაინც მიუხედავათ სოციალისტურ პრინციპების და რუსული „ფირმისა,“ თავის თავათ, მით რომ მისი წინამძღოლნი და მეტადრე მისი მიმდევარი მასსა ქართველობა იყო, წარმოადგენდა ეროვნულ ძალას.

მხოლოთ დასაწყისში ეს ენერგია იყო მზგავსი უეცრივ მოვარდნილ ნიადვრისა, რომელიც დაეშვება ხოლმე პირველსავე დაღმართზე და სტიქიის ნებაზე მიჰქრის უგზო უკვლოთ, სანამ თავის სირბილში ნორმალურ კალაპოტს არ გაიკაფავს და არ გადაიქცევა ბუნების დამამშვენებელ მდინარეთ. — და აი, ამ ახლათ გაღვივებულ ძალების ეროვნულათ მიზანშეუწონელ დუღილს მოყვა ის, რაც აუცილებლათ და ლოდიკურათ უნდა მოყოლოდა: მოსკოურათ შეგნებულ ინტერნაციონალისტურ ბრძოლის ველის ეროვნულათ გადაქცევა. ერთხელ გამოღვიძებულმა ერმა თავის თავად იპოვნა თავისი ნამდვილი ეროვნული იდეა და ამ იდეასკენ მიმავალი გზა რამდენიმე ეტაპათ განვლო. სოციალ-დემოკრატია კი როგორც პარტია დარჩა ძველ იდეოლოგიის ნიადაგზე და თუ თავის მოქმედების დასაწყისში დადებით როლს თამაშობდა როგორც ერის გამღვიძებელი და ამოძამრავებელი, სულ მალე ქართველ ხალხის ეროვნულ ინტერესების საწინააღმდეგო მოვლენათ გადაიქცა.

ასე თუ ისე, თუმცა უნებლიეთ, ქართულ სოციალ-დემოკრატიამ ჩვენ ცხოვრებაში ითამაშა დიდი როლი და მისი ისტორია ამასთანავე არის ისტორია ქართველ ხალხის ეროვნულ აღორძინების დაწყისის.

სოციალ-დემოკრატიის გამოსვლის შემდეგ არ გასულა სულ 12-13 წელიწადი რომ ქართველმა ხალხმა წარმოშვა სოციალ-ფედერალისტთა პარტია. ამ უკანასკნელმა საქართველოს ცხოვრების პრობლ[illegible] პირველათ მისცა ეროვ[illegible]ლი ხასიათი. მართალია ფედერალისტებისაგან წამოყენებული ეროვნული მისწრაფებანი მეტად მინიმალურნი და მკრთალნი იყვნენ, თავსდებოდენ რუსეთის პოლიტიკურ ფარგლებში, და რუსულ აზროვნების ფრთებს ამოფარებოდენ, მაგრამ მეტი ვერც მოეთხოვებოდა მაშინდელ ქართულ საზოგადოების ეროვნულ შეგნების დონეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო მხოლოთ რიყრაკი ეროვნულ აღორძინებისა. ყოველივე შემთხვევაში შეგნებული ნაბიჯი ეროვნულ პოლიტიკის გზაზე პირველათ სოც.-ფედერალისტებმა გადასდგეს და ეროვნულ შეგნების ციხე-სიმაგრის პირველი კოშკი იმათ ააგეს. სოციალ-ფედერალისტების დაწყებული საქმე თავის თავად გაიზარდა, განვითარდა და გაუსწრო თვით მათ მიერ დასმულ ეროვნულ მიზნებს. ქართველი ხალხი ერთხელ დამდგარი ეროვნულ შეგნების გზაზე მინიმალურ მისწრაფებებს ადარ დასჯერდა და მალე მოითხოვა ის რაც არის ერის ცხოვრების განვითარების და გაძლიერების უდიდესი და აუცილებელი საფუძველი: დ ა მ ო უ კ ი დ ებ ლ ო ბ ა. ამნაირად სოც.-ფედ. პირტიამ, თავის დროზე, ჩვენს ისტორიაში ითამაშა დიდი დადებითი როლი და ქართველ ხალხს მისცა ძლიერი იმპულსი წინსვლისა და განვითარებისა.

სულ ათიოდე წლის შემდეგ ფედერალისტების ასპარეზზე გამოსვლისა, მათთავე კადრიდან გამოიყოფიან მამულიშვილნი, რომელნიც წამოაყენებენ საქართველოს სეპარაციის საკითხს ე. ი. მის რუსეთიდან სრულ დამოუკიდებლობას. სეპარაციის პირველი მერცხალნი იყვნენ ჟენევის სეპარატისტთა ჯგუფი და ნაწილი იმ პარტიისა, რომელსაც დღეს ეროვნულ დემოკრატიული პარტია ეწოდება. ესენი პირველნი უკუაგდებენ სოციალისტურ ფსიხოზს, ამაყად და ენერგიულად გამოდიან წმინდა ეროვნულ მოქმედების ასპარეზზე და ეროვნულ თავისუფლებისათვის კიდევაც მედგრათ იბრძვიან. ბოლოს მთელ პარტიას დააყენებენ სეპარაციის გზაზე.

მაგრამ როგორც პირველ ორ პარტიას, ისე ამ უკანასკნელსაც გაუსწრო ცხოვრებამ. ასეთია ბედი პოლიტიკური პარტიებისა: ისინი ხშირათ თავის „დაკანონებულ“ პროგრამებით ჩამორჩებიან საზოგადოების განვითარების ტემპს, როგორც ნაწერი კანონი ჩამორჩება ახლათ შექმნილ ცხოვრების პირობებს და მოთხოვნილებებს. ამ პირობებში ჩავარდნილი პოლიტ. პარტიები, ან სოციალური და სახელმწიფო დაწესებულებები აუცილებლად ცხოვრების წინააღმდეგობათ გარდაიქცევიან და ხდებიან მის განვითარების შემაფერხებელ მოვლენათ. მაგრამ საზოგადოება რომლის ვითარება გარდაქმის და განახლების მუდმივი პროცესია, თუ გადაგვარების გზაზე არა სდგას, უკუაგდებს ხოლმე მოძველებულ ფორმებს და ხელმძღვანელებს, ქმნის ცხოვრების ახალ პრინციპს და პოულობს ახალ ენერგიას და ახალ ხელმძღვანელებს მის განსახორციელებლათ.

* * *

და აი დღეს, ჩვენმა ქვეყანამ, ცხოვრების მსოფლიო მაშტაბში გარდატეხის ზედგავლენით სულიერად და მატერიალურათ გარდაქმნილმა და განსწავლილმა ისტორიის მრავალი მწარე გაკვეთილებით წარმოშვა „თეთრი გიორგი“ რომლის მსოფლ-მხედველობა და იდეოლოგია სავსებით შეეგუება თანამედროვე ცხოვრებას, ევროპის განახლებულ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და ზნეობრივ პრინციპებს, რომელიც ნამდვილი შვილია საქართველოს დღევანდელი სულისკვეთების, რომელიც ჩვენი პოლიტიკური პარტიების მზგავსათ უცხო აზროვნების ნიადაგზე კი არ ადმოცენებულა და მტრის ფსიქოლოგიით გაჟღენთილა, არამედ დაბადებულა და ჩასახულა წმიდა ეროვნულ ნიადაგზე შეგნების და აღორძინების მომენტში.

თ. გ. არის ვრცელ პოლიტიკურ პერიოდის განმავლობაში ჩვენი ხალხის ეროვნულ განვითარების უკანასკნელს და უმაღლესი ეტაპი, გამომხატველი მისი ეროვნულ, სულიერ და მატერიალურ ინტერესების და რომელიც სოც. დემ. და სოც ფედ. მიერ წამოყენებულ კლასთა ბრძოლის პრინციპს და სოციალისტურ სახელმწიფოს უპირდაპირებს, კლასთა სოლიდარულ თანამშრომლობას ეროვნულ სახელწიფოს გასაძლიერებლათ, ნაც. დემ. მიერ ცხოვრების პრობლემებზე გარეგნულ იდეალისტურ და რომანტიულ შეხედულებას მდგარს გარეშე ეკონომიურ პრობლემებისა, უპირდაპირებს ეროვნულ ინტერესების განხორციელების საშუალებებს რეალისტურათ დამყარებულს ანალიტიურათ და რაციონალურათ გამოანგარიშებულ მეთოდებზე; მათ მიერ შექმნილ წმიდა ინტელიგენტურ არისტოკრატულ მოძრაობას, რომელიც მხოლოთ დეპუტატების პორთფელების მებნაში გამოიხატა, უპირდაპირებს ხალხურ, ეროვნულ მოძრაობას, რომელიც ბრძოლაში და შემოქმედებაში გამოიხატება.

ამნაირათ, საქართველომ თავის სრულ ეროვნულ შეგნებას მიაღწია ოთხ ეტაპათ: სოც. დემ., სოც, ფ., ნაც. დემ. და თეთრი გიორგი.

* * *

თანამედროვე დემოკრატიის ფარგლებში ორი სოციალური ძალა დაუპირდაპირდა ერთმანეთს: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ეს დაპირდაპირება გამწვავდა, გადაიქცა სასტიკ ანტაგონიზმათ და დღეს ორთავე მხარის მისწრაფება არის ერთი მეორეზე გაბატონება ძალის და რევოლიუციის საშვალებით. ეს საშვალება კი საზოგადოების და ცივილიზაციის დამცემი, დამანგრეველი და გამაბარბაროსებელია, რასაც ისტორია მრავალ მაგალითებით გვიმტკიცებს. დემოკრატიული რეჟიმი კი რომელიც თავისი ორგანიზაციის ბუნების წყალობით არასდროს ობიექტიურ ნიადაგზე არ მდგარა და ყოველთვის იყო იარაღათ რომელიმე გაბატონებულ კლასის ხელში, არამც თუ უძლურია ეს კატასტროფა თავიდან ააშოროს კაცობრიობას, არამედ ხელს უწყობს მას. რატომ ხდება ასე? ორი მიზეზით: 1) როგორც უკვე ზემოთ ვსთქვით, დემოკრატიული რეჟიმი იმ სახით, რომლითაც ის დიდი ხანია ევროპაში განხორციელდა, ყოველთვის არის იარაღი რომელიმე კლასისა, ასეთია მისი ბუნება, და მაშასადამე, მან ყოველთვის მიდგომითი როლი უნდა ითამაშოს: ბატონობს დღეს ბურჟუაზია, მან უნდა დემოკრატიულ სახელმწიფოს აპარატი მუშათა კლასის დასამონავებლად გამოიყენოს გაბატონდება მუშათა კლასი, ის მაშინვე ცდილობს მოსპოს და გაანადგუროს დანარჩენი კლასები იმავე დემოკრატიულ სახელმწიფოს დაწესებულებების საშვალებით.

2) დღევანდელი დემოკრატიული რეჟიმი დაძველდა და მსოფლიო ომის შემდეგ გარდაქმნილ ცხოვრების პირობებს არა თუ არ შეეგუება, არამედ გადაიქცა საზოგადოების განვითარების და მოწესრიგების შემაფერხებლათ და მაშასადამე, რეაქციონურ ძალათ.

ამნაირათ, ევროპაში შეიქნა ისეთი მდგომარეობა რომ კარზე მოიდგარი რევოლიუცია რუსულ ბოლშევიზმათ უნდა გადაქცეულიყო, მაგრამ თუ ველურმა რუსეთმა ვერ ჰპოვა თავის თავში საკმარისი კულტურული საშუალებანი ბოლშევიკური კატასტროფის თავიდან ასაცილებლათ, კულტურულსანმა ევროპამ წამოაყენა ახალი პრინციპი ცხოვრების ორგანიზაციისა. ეს ახალი პრინციპი, რასაკვირველია, ჯერ განხორციელდა იტალიაში ე. ი. ევროპის იმ ქვეყანაში, სადაც ერთხელ უკვე შეიქნა ახალი და უდიდესი ნიადაგი პროგრესისა, რომელმაც ძირიანათ გარდაქმნა მთელი ევროპის ცხოვრება და რომელზედაც აშენდა თანამედროვე კულტურა და ცივილიზაცია:

აღორძინების ხანა. აი ამ ქვეყანამ დღეს წამოაყენა და კიდეც განახორციელა ახალი პრინციპი საზოგადოების ორგანიზაციისა, რომლის ფარგლებში უნდა მოთავსდენ ინტერესები ყველა კლასების, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად კაცობრიობის ეკონომიურ, სოციალურ, გონებრივ, ზნეობრივ, პოლიტიკურ ევოლიუციას და რომლითაც იწყება ახალი ხანა საზოგადოების განვითარებისა: ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპები:

1. კლასთა სოლიდარული თანამშრომლობა თანასწორობის ნიადაგზე ერის საბედნიერად. ერის სიძლიერე და ნივთიერი სიმდიდრე შეადგენს ყველა კლასის პირდაპირ ინტერესს. მუშათა, როგორც დანარჩენ კლასთა მატერიალური მდგომარეობა ყოველთვის პროპორციონალურია ერის მატერიალურ მდგომარეობასთან. ერის გარეშე არ არსებობს არც ერთი კლასის ინტერესი: მით რომ ამერიკის მუშა ფუფუნებაში ცხოვრობს ქართველ მუშას არაფერი ემატება, ასევე ითქმის სხვა კლასების შესახებაც.

2. სახელმწიფო არ უნდა იყოს რომელიმე კლასის იარადათ გადაქცეული, არამედ უნდა იყოს ერის წარმომადგენელი, მისი ინტერესების განმახორციელებელი და მდგომი გარეშე კლასობრივ პოლიტიკის და მისწრაფების. მან უნდა შექმნას ისეთი ორგანიზაცია, რომლის საშუალებით სავსებით დაცული იქნება ყველა კლასთა ინტერესების თანასწორობა. სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა იყოს ისეთი, რომ მის წარმომადგენლობრივ დაწესებულებებში შეუძლებელი იქნეს რომელიმე კლასის ან პოლიტიკურ პარტიის უმრავლესობის შექმნა არამედ ყველა კლასი წარმოდგენილი იყოს თანასწორი ხმებით, მხოლოთ არბიტრათ მათ შორის და იმათ ხელმძღვანელათ უნდა იდგეს თვით სახელმწიფო ე. ი. ერი: კორპორატიულ—სინდიკალური წარმომადგენლობა, რაც მოსპობს რომელიმე კლასის მეორეზე ბატონობას და შეიქმნის ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოს ეროვნული სუვერენიტეტით.

ეს არის ახალი საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ახალი საზოგადოება.

თ. გ. იზიარებს საზოგადოების ორგანიზაციის ამ ახალ პრინციპს, რომელმაც უკვე 6 ევროპიულ სახელმწიფოში გამოიღო შესამჩნევი ნაყოფი და ევროპის სხვა სახელმწიფოებიც გადაარჩინა ბოლშევიკურ საშიშროებას.

. . .

თ. გ. გამოხატავს და წარმოადგენს მხოლოთ და მხოლოთ ქართველ ერს, მის სულიერ და ნივთიერ ინტერესებს: **"საქართველო უწინარეს ყოვლისა"**

თ. გ. არ არის არც მემარჯვენე, არც მემარცხენე, არამედ, ეროვნულ ძალთა შეკავშირება განურჩევლათ, კლასების და წოდებისა, მებრძოლი ეროვნული ორგანიზაცია დამყარებული, უდიდეს დისციპლინაზე.

თ. გ. არის წარმოშობილი საჭირო ისტორიულ მომენტში და აღჭურვილი ცხოვრების დღევანდელ პირობებისა და მოთხოვნილებისაგან შექმნილ იდეოლოგიით, ბრძოლის მოქმედების თანამედროვე მეთოდებით და ტაქტიკით, აქედან შესძლებს ითამაშოს ის დიდი ეროვნული როლი, რომელმაც უნდა მოუპოვოს საქართველოს დამოუკიდებლობა. განამტკიცოს ის შესაფერ და მძლავრ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში, რომელიც დამყარებული იქნება ეროვ. ფსიქოლოგიაზე და დისციპლინაზე. ქართველი ერის ისტორიულ, მატერიალურ, სულიერ, ზნეობრივ და ძის სხვა და-სხვა ზნე-ჩვეულებებზე უნდა დამყარდეს ჩვენი სამართალი, კონსტიტუცია და საზოგადოებრივი წყობილება. მხოლოთ ამ შემთხვევაში შეიძლება საქართველო დაადგეს აღორძინების გზას. ეს დებულება უარს არ ყოფს ევროპის პოლიტიკურ და სოციალურ დარგებში მიღწევათა სარგებლობას, მაგრამ ყოველივე გადაღებული ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს გადარგული და ქართულ ცხოვრების რეალობით ნამყნობი. სწორეთ ამაში გამოიხატება მმართველობის სიბრძნე, რაც თ. გ. კარგათ აქვს გათვალისწინებული და შეგნებული.

* * *

რუსეთ საქართველოს დამოკიდებულება.

თ. გ. სცნობს დიდათ მავნეთ როგორც ჩვენი ხალხის ეროვნულ შეგნების განვითარებისათვის, აგრეთვე თავისუფლების მოსაპოებლათ ბრძოლისათვის იმ ცრუ და ყალბ აზრებს, რომელსაც ავრცელებენ ზოგი პოლიტიკური პარტიები თითქოს საქართველოს მტერი არის არა თვით რუსეთი, არამედ მისი ესა თუ ის რეჟიმი. ასეთი პოლიტიკა არის შვილი მოწური ფსიქოლოგიის და შეაქვს ქართველ ხალხში გამოურკვევლობა და გაუგებრობა; ჩვენ ვნახეთ რა საშინელი შედეგებიც მოყვა ამგვარ შეხედულებას.

საქართველოს მტერი არის თვით რუსეთი, როგორც ქვეყანა, როგორც სახელმწიფო როგორც ერი და არა ესა თუ ის რეჟიმი. ესა თუ ის რეჟიმი არის მხოლოთ განსაზღვრული ეპიზოდი ამა თუ იმ სახელმწიფოს ისტორიაში, მისი ძირითადი პოლიტიკა კი რჩება უცვლელი გრძელ საუკუნეთა განმავლობაში და ემორჩილება მის ისტორიულ განვითარების კანონებს

რუსეთის გეოგრაფიული პირობები და რასიული ფსიქოლოგია ქმნის რუსეთის იმპერიალიზმის თავისებურობას. მის უდიდეს ინტერესს შეადგენს შუა აზიისაკენ ზრდა, სოლო მისი შუა აზიაში ბატონობის გაგლენის უმთავრესი ბაზა არის საქართველო. რუსეთის იმპერიის განვითარების ამ ძირითადი პრინციპს ე. რჩიოლ... ეკატერინეს ფესვ. რეჟიმი რომ

დესაც საქართველოს მოსატყუებლად და დასაპყრობად გამოგვიგზავნა ლენ. ტოტლებენი; ამავე მიზანს ემსახურებოდა იმპ. ალექსანდრე I, რომელმაც დაარღვია საქართველოსთან დადებული 1783 ხელშეკრულება, და მას ანექსია მოუხდინა. აგრეთვე რუსეთის ამ ძირითად ინტერესს ემორჩილებოდა ნიკოლოზ-დუმის კვაზი კონსტიტუციონალური რეჟიმი როდესაც იგი (დიდ ომს რომ ხელი არ შეეშალა) აპირებდა ტირიფონაში ქართველობის აყრას და მის ყაზახ-რუსებით დასახლებას.ამით მას სურდა აღმოსავლეთი მოეჭრა დასავლეთ საქართველოდან და ქვეყანა უფრო ადვილად გადაეგვარებინა; ამავე და მხოლოთ ამავე პოლიტიკას ემსახურებოდა კერენსკი-წერეთლის დემოკრატიულ-სოციალუსტური რეჟიმი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასაც კი არ უთმობდა; და ამავე პოლიტიკას ემორჩილება დღეს ბოლშევიკური მთავრობა, რომელმაც მსგავსათ იმპერატორ ალექსანდრე პირველისა დაარღვია ჩვენ მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება, ვერაგულათ შემოგვესია და დღეს სისხლში ახრჩობს ჩვენს ქვეყანას, რათა ივი საბოლოოდ დაუმორჩილოს რუსეთის ბატონობას; ამავე პოლიტიკას აუცილებლად და შეუცვლელად ემსახურებიან შემდეგშიც რუსეთის ყველა რეჟიმები, სანამ ეს სახელწიფო როგორც იმპერია არ დაინგრევა და არ ჩადგება თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში.

მაშასადამე, საქმე რეჟიმში კი არ არის, — არამედ აქ ერია დაპირდაპირებული ერთან:

რუსის ერი არის ისტორიული მტერი ქართველი ერისა. ეს სიმართლე უნდა ვადიაროთ აშკარათ, დაუმალავათ, ახდილათ, რათა ერთხელ და სამუდამოთ იცოდეს ქართველმა ერმა ვინ არის მისი მტერი. საკმარისია რაც აქამდის ქართველ ხალხს თვალები აუხვიეს ჩვენმა სოციალისტებმა და ნაჩინოვნიკარმა პატრიოტებმა. სიერცხვილი იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც ამ ისტორიულ სინამდვილეს მალავენ ნიკოლაი-ნიკოლაევიჩის ან მილიუკოვ-ჩერნოვ-დანის გულმოსაგებათ.

უნდა ავდნიშნოთ, რომ რუსეთის იმპერია უკვე ნგრევის პროცესშია და მისი დღეები დათვლილია. თვით ის სახელმწიფონიც კი რომელთა იმპერიალიზმს სამხედრო ძალის გარდა მჭიდრო კულტურული ნიადაგიც ჰქონდა, ვერ გადურჩენ იმპერიების ნგრევის საერთო კანონს: რა ერთხელ დაიწყება იმპერიის ნგრევის პროცესი, იგი შეუჩერებლივ ბოლოდე მიდის. რაც შეხება კერძოთ რუსეთს, რომელიც განსაკუთრებით მატერიალურ ძალაზე არის და იყო დამყარებული, მის იმპერიის საბოლოო დანგრევა აუცილებელი და ფატალურია, მან უნდა დაკარგოს ყველა დამორავებული ერები, რომელთაც მასთან არავითარი ორგანიული საერთო არ აქვთ, და სულ მალეა დრო როდესაც ის ჩადგება თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში.

თ. გ. ყველა მას, ვინც რუსეთთან, განურჩევლათ მისი პოლიტიკური რეჟიმისა, საქართველოს რაიმე სახელმწიფოებრივ, თუნდაც სულ მინიმალურ დამოკიდებულობას ლამობს, აცხადებს სამშობლოს მოღალატეთ და რენეგატათ, და თავის დროზე და ადგილზე საჭირო პასუხს გასცემს, რა მოსაზრებითაც არ უნდა ამართლებდეს ის, ამ თავის შეგნებით თუ მეუგნებელ მუხანათობას. ეს იმიტომ, რომ ისტორიულმა მაგალითებმა საბოლოოთ დაგვიმტკიცა რომ ყოველივე, სულ მცირედი დამოკიდებულებაც კი რუსეთთან აუცილებლათ და ფატალურათ ჩვენზე ბატონობამდე უნდა გათავდეს.

. . .

საქართველოს ცხოვრების ძირითად ძალას ყოველთვის შეადგენდა მისი ხალხის უმდაბლეს სფეროებამდე მჭიდროდ ფესვებ გადგმული კულტურა. ეს კულტურა ჰქმნიდა ქართველ ხალხში კოლექტიურ სულს: **ეროვნული თავდაცვის უმძლავრეს ჯავშანს.** ამით აიხსნება ის, რომ საქართველო გადურჩა საუკუნეთა განმავლობაში დაუსრულებელ ომებს და ვერც ერთმა მტერმა ვერ გასტეხა მისი ეროვნული სული. ერის დანგრევა კი იწყება ეროვნული სულის დაცემით. დღესაც და მომავალშიც საქართველოს უმთავრესი იარადი უნდა იყოს ქართული კულტურა. თავისუფლებისათვის საბრძოლველათ გამოსული ერი უწინარეს ყოვლისა უნდა შეიმოსოს ეროვნულ კულტურის მუზარადით. ქართული კულტურა დამყარებული იყო ოჯახზე, ზნეჩვეულებაზე, სარწმუნოებაზე, აღზდაზე, ენაზე და ჩვენი ერის ეს უმთავრესი საძირკვლები, რომელშიც შეიტანეს ჩრდილოეთის ბარბაროსებმა და დღესაც შეაქვთ რუსული გაბრწნა და გარყვნილება — უნდა განიწმიდოს, გაჯანსაღდეს და ისევ მათზე უნდა დამყარდეს ჩვენი კულტურის აღორძინება.

ჩვენ უნდა შეგვისწავლოთ საქართველოს წარსული და შეგქნათ ჩვენ სახელოვან წინაპარ გმირთა კულტი. „ჩვენ უნდა შეგქმნათ ჩვენი მყოფადი და უნდა მივცეთ მომავალი ხალხს", და ეს მყოფადი და მომავალი უნდა დაეამყარეთ ჩვენ კულტურაზე და ისტორიულ სინამდვილეზე. ეს შექმნის ენტუზიაზმს, სამშობლოს სიყვარულს და სახელოვანი წარსულის ფეცხლით ანთებული ახალგაზრდობა ამაყათ და თავგანწირვით დაადგება ეროვნულ ბრძოლის გზას. ეროვნული ბრძოლის ველი უნდა გაფართოვდეს, გაიზარდოს: ბრძოლა ეკონომიური, გონებრივი, კულტურული, ბრძოლა იარადით ხელში, მიზან-შეწონილი ტაქტიკით და დროს შერჩევით.

* * *

თ. გ. აუცილებლად მიაჩნია ეროვნული დიქტატურა მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში პირველ ხანებში ანარქიის თავიდან ასაცილებლად და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. მხოლოთ ეროვნული დიქტატურა შესძლებს მოაწესრიგოს არეული ცხოვრება ეროვნული დისციპლინის საშვალებით, თავს ააშოროს ჩვენ ხალხს რომელიმე კლასის ან პარტიის უპირატესობა და ბატონობა რაც დამღუპველია ერისთვის და რამაც ერთხელ უკვე დაღუპა ჩვენი ქვეყანა. განმტკიცდება რა დამოუკიდებლობა, შეიქმნება ცხოვრების ნორმალური პირობები, თ. გ. სცნობს პარლამენტს მმართველობის საუკეთესო ფორმათ საქართველოსთვის. ხოლო არა პარლამენტს დღევანდელ დაძველებულ სახით, არამედ განახლებულს და თანამედროვე ეკონომიურ და სოციალურ პირობებთან შეგუებულს. თ. გ. მტერია დაძველებულ და რეაქციონურ დემოკრატიის და ადიარებს ახალ დემოკრატიას. დემოკრატიულ წყობილების შინაარსი მუდმივი და ერთგვარი არ არის, იგი იცვლება საზოგადოების განვითარების მიხედვით. ანტიური დემოკრატია დამყარებული იყო კოლექტივიზმზე, რომლის წინაშე ინდივიდი მოკლებულიყო ყოველივე ინდივიდუალ. უფლებებს: კოლექტივის აბსოლიუტიზმი. ანგლო საქსონურმა დემოკრატიამ რომელიც გამეფდა ევროპაში მე XIX საუკუნეში შექმნა ახალი პრინციპი: **ინდივიდუალური თავისუფლებანი.** პიროვნებას მოვალეობის გარდა კოლექტივის წინაშე აქვს განსაზღვრული უფლებები. მაგრამ თუ პიროვნებამ თანამედროვე დემოკრატიაში მოიპოვა განსაზღვრული პოლიტიკური თავისუფლება და უფლებანი, მეორე მხრივ ამავე დემოკრატიის საშვალებით ერთი კლასი გაბატონდა მეორეზე ეკონომიურად და პოლიტიკურადაც, და ეს დემოკრატიული წყობილება ოდესღაც დადებითი, დღეს ჩამორჩა ცხოვრებას და ადარ შეეგუება მას როგორც ანტიური დემოკრატიზმი. დღეს ეს რეჟიმი მხოლოდ რეაქციონურ ძალას წარმოადგენს და მარტო საკუთარ არსებობისათვის იბრძვის წინსვლის და განახლების წინააღმდეგ.

თ. გ. სწამს ახალი დემოკრატიზმი: პიროვნების უფლებები კოლექტივის წინაშე, ხოლო თვით კოლექტივი დამყარებული კლასთა სოლიდარობა და თანასწორობაზე.

თ. გ. მოძრაობა ახალგაზრდული მოძრაობაა. რუსების ჩვენზე ბატონობის ძიერ შექმნილ ფსიქოლოგიურ, გონებრივ და ზნეობრივ ნანგრევებიდან ახალი ძალით და ახალი ენერგიით სდგება ახალი საქართველო! საქართველო ისევ ცოცხალი, ისევ გამზადებული ეროვნულ არსებობისათვის საბრძოლველათ საჭირო ძალას და ახალ ენერგიას ეროვნულ აღორძინებისათვის და ჩრდილოეთის ბარბაროსების წინააღმდეგ საბოლოო ბრძოლის მისაცემათ — ის ახალგაზრდობაში პოულობს. ეს ახალგაზრდობა თავს იკრებს თ. გ. დროშის ქვეშ. ეს არის ერთათ ერთი ემბლემა, რომელიც შესძლებს შეაერთოს ერთმეორისგან ... ქართველ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი აჯანყება.

ქართველი ერი ვერ შეურიგდება მონობას. ის იარაღს არ დაყრის. მისი ორიათას ნახევარი წლის ისტორია, ხომ ბრძოლაა თავისი უფლებისათვის. და ის იბრძოლებს მუდამ. კიდევ ბევრჯელ გაითხრება ეროვნული საფლავები . . .

ახალგაზრდობამ ცრემლი არ იცის. ჩვენ არ ვგლოვობთ დაცემულ მამულიშვილთა საფლავებს. დაღუბულ გმირთ არ სტირიან.

სამწუხაროა მხოლოთ, ის თითო ოროლა ქართველი, რომელთაც გვარიდა შერჩენიათ ქართული და დღეს ერის სისხლით დამთვრალნი, წმიდა საფლავთ რომ დახარხარებენ . . .

ქართველს ბრძოლის მკლავი არ მოუდუნდება სანამ ის გამარჯვებას არ მიიღებს. უკანასკნელი აჯანყება ეს პატარა ეპიზოდია დიდ ეროვნულ ომის.

ქართველი ერის მიერ აღებული ბრძოლის ხაზი სწორია, მაგრამ ·ხელმძღვანელთა სისუსტემ იგი დროებით დაამარცხა. დღევანდელი „მესვეურები“ ვერ გამოდგენ შორსმჭვრეტი მესაჭენი.

აწი ქართველი ახალგაზრდობა ვერ გაყვება მათ, ვინც ქართვ. ერი რამდენჯერმე დამარცხებამდე მიიყვანა.

ახალგაზრდობა სხვა გზას დაადგება.

ეს გზა თვით ახალგაზრდობაა.

ეს გზა თეთრი გიორგის გზაა.

პატრიოტ ახალგაზრდათა წმიდა შეფიცვა, ეროვნულ საფლავთა და საქართველოს წინაშე.

წესიერების თანამედროვე ფორმა და თეთრი გიორგი

მსოფლიო ომმა შეიტანა არევდარევა და შექმნა კრიზისი ერთა არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ იგი მორალურადაც შეარყია. „საჭირო არის აღდგენა როგორც მატერიალური ევროპის ისე მორალურისაც, ამბობს ცნობილი სოციოლოგი ლებონი, მაგრამ სიძულვილი, პატივმოყვარეობა და ანარქია მატულობს, როდესაც შრომა, დისციპლინა და მოვალეობის გრძნობა შეუჩერებლივ კლებულობს“

უამრავ ზარალის აღსადგენათ, რაც მსოფლიოს დიდ ომმა მიაყენა, ინდუსტრიის, მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად, ეკონომიური წონასწორობის დასამყარებლად აუცილებელი იყო უდიდესი კოლექტიური შრომა, ერის შემადგენელ ყველა სოციალურ ელემენტთა ერთსულოვანი თანამშრომლობა და რაც მთავარია, დისციპლინა. ნაცვლად ამისა ჩვენ ვხედავთ ყველგან ხელისუფლებას პრესტიჟს და აუტორიტეტს მოკლებულს, მოქანავეს თავის გეგემონიისათვის მებრძოლ მოქიშპე პარტიათა შორის.

დღევანდელი პერიოდი საოცრად მოგვაგონებს რომის იმპერიის მდგომარეობას მესამე საუკუნეში. პოლიტიკური კრაზისით(სენატის პრესტიჟის დაცემა) გამოწვეულ ანარქია და ომმა მისი კულტურა დასცა და ბარბაროსობაში გადაისროლა. „ უნდა გაიხსენოს რომის ეს მწარე გაკვეთილი ჩვენმა ეპოქამ, რომლის მდგომარეობა ბევრათ მოგვაგონებს მესამე საუკუნის კრიზისს, სწერს ისტორიკოსი ფერერო, ნახევარ საუკუნეზე მეტია, განაგრძობს ის, რაც დასავლეთის ცივილიზაცია დაქვეითების პროცესშია დოქტრინა და ზნე ჩვეულებათა მუდმივ არევდარევით და ინტელექტუალური ანარქიით. კანონს ძალა არა აქვს და ავტორიტეტს—გავლენა “...

მიზეზს ამისა თანამედროვე საზოგადოების მკვლევარნი ხედავენ საყოველთაოთ აღიარებულ და ყველასათვის მისაღებ მართვა-გამგეობის პრინციპის უქონლობაში. კაცობრიობა დღეს მერყეობს ხელისუფლების ორ ფორმათა შორის: მონარქიული, დამყარებული საღვთო უფლებაზე, დღეს უარყოფილია, მოკლებული ყოველგვარ რელიგიურ საფუძველს, და დემოკრატიული თავის დაძველებულ პრინციპით ცხოვრებას ჩამორჩა და ახალ მოთხოვნილებათ ვერ აკმაყოფილებს. სწორი და მისაღები თეორიაში,სინამდვილეში კი უძლური, მას არასდროს არ განუხორციელებია ხალხის სრული სუვერენობა, ვინაიდან აქ თვითეული კლასი მხოლოთ თავის ბატონობისათვის იბრძვის; მათი თანამშრომლობა შეუძლებელია, რადგან არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც ამ მოწინააღმდეგე ბანაკთ შეარიგებს და ერთ სათავეთ გადააქცევს. უთანასწორობა მოქალაქეთა ეკონომიურ მდგომარეობას შორის იწვევს შინაგან წინააღმდეგობათ, განხეთქილებას, რისი დაძლევა თანამედროვე დემოკრატიას არ ძალუძს, ვინაიდან მეტად სუსტია შეგნება კერძო და საზოგადო ინტერესთა იგივეობის

სინამდვილემ დემოკრატია ბევრჯერ დაამარცხა. „ დემოკრატიზმის გამარჯვება ხშირათ ქვეყნის დაღუპვით თავდება, ამბობს ლებონი, დემოკრატიულ იდეების გავლენით საბერძნეთი მონობაში ჩაეფლო, რომი დაჩაჩანაკდა იტალიის საშუალო საუკუნოების რესპუბლიკები და თანამედროვე რუსეთი ტირანია და ანარქიაში ჩაიხრჩო.“

თვით ერის მტრებიც აქ ფართე თვისუფლებით სარგებლობენ. ბოლშევიკურ — ანტიეროვნულ მოძრაობას ჰოქმედების გაშლილი ასპარეზი აქვს, (განვითარებას არავითარი დაბრკოლება წინ არ ედგება. ის საუცხოვოთ ხეირობს მის ნიადაგზე. სწორედ დემოკრატიული რეჟიმის წყალობით იყო რომ ბოლშევიკურ ველურ სტიქიამ ევროპის საზღვრები გადალახა და მისი საუკუნოებით შექმნილ კულტურის განიავებას ლამობდა, — და თუ იტალიამ, უნგრეთმა და სხვა სახელმწიფოებმა ამ ბოროტებას თავი დაადწიეს და აღორძინების გზას დაადგენ, ეს მოხდა მხოლოთ და მხოლოთ დღევანდელ პარლალენტარულ წესწყობილების უარყოფით, ეროვნული რევოლიუციით და ეროვნული დიქტატურის მიღებით. შთაგონებული სწორი ინსტინქტით მუსოლინი ღებულობს ხელისუფლებას და გადაარჩენს იტალიას კომუნისტურ დარბევისაგან. ავსტრიას თვით ხალხთა ლიგა უგზავნის დიქტატორს ქვეყნის ფეხზე დასაყენებლათ. გერმანიას ბოლშევიკური და მონარქიულისაშიშროება ემუქრება, რესპუბლიკა ღენერალ ფონ ზეკტს აღჭურავს დიქტატორულ უფლებებით და გამარჯვებული გამოდის. დიქტატორი მუსტაფა ქემალი აღადგენს დაქვეითებულ და ნახევრათ მკვდარ ოსმალმთს. . .

ამნაირათ, წესიერების ეს ახალი ფორმა უბრუნებს რა სახელმწიფოს ავტორიტეტს მის სინლიერეს, ამყარებს წესრიგს და დისციპლინას, რაც აუცილებელია აღორძინებისა და განვითარებისათვის.

დაწვრილებით ამ ახალ სისტემას ჩვენ შემდეგში შევეხებით, აქ კი აღვნიშნავთ მისი შინაარსის მხოლოთ ზოგად მხარეს.

აღორძინების ეს ახალი და პროგრესიული ფორმა არის გამოფხიზლება ეროვნული სინიდისის, განსახიერება სამშობლოს იდეალის და მისდამი უანგარო სიყვარულის. ამხედრება ეროვნული გრძნობის კოსმოპოლიტურ სულის წინააღმდეგ, შეზღუდვა სახელმწიფოს ინტერესით პროლეტარიატის, ბურჟუაზიის და სხვა ჯგუფების გადაჭარბებულ მოთხოვნილებათა. ბრძოლა მერყეობის, უიმედობის და სასოწარკვეთილების წინააღმდეგ. ის რეალისტურია, ითვალისწინებს მოვლენას როგორც ის არის და არა ისე როგორც უნდა იყოს. განვიხილოთ და პასუხი გავსცეთ მდგომარეობას მის მრისხანე სინამდვილეში, ამბობს საზოგადოების ორგანიზაციის ახალი პრინციპი. იგი არ არის პოლიტიკური პარტია, არამედ ზეკლასიური ორგანიზაცია. ადიარებს რა შრომის და კაპიტალის უფლება მოვალეობის თანასწორობას, კონტროლს უწევს და მიუდგომლათ აწესრიგებს მათ შორის ყოველგვარ კონფლიქტს.

წესიერების ეს ახალი ფორმა არის სინტეზი დემოკრატიულ, ნაციონალისტურ და სოციალისტურ მოძრაობათა. ანსორციელებს მას რაც ვერც ერთ მათგანმა ცალკე ვერ განახორციელა: იერარქია — ცოდნა გამოცდილებაზე აგებული, ერის სიძლიერე — რაინდულ სულზე დამყარებული და სოციალური სამართლიანობა დაფუძნებული ინტერესთა ლოიალურ შეთანხმებაზე. ნაციონალური ცხოვრება და ერის სიძლიერე უნდა დამყარდეს ოჯახზე, რომელიც არის ქვაკუთხედი გონებრივ და სულიერ სიმდიდრის.

ერი არ არის პიროვნებათა შემთხვევითი შეჯგუფება ცხვრის ფარის მსგავსათ, არამედ ოჯახთა ცოცხალი ორგანიული კავშირი. ამიტომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ოჯახს, მის განვითარებას და დაცვას.

აზრთა ახდილი გამოთქმა, უარყოფა ორჭოფული ბუნების, ყველა და ყველაფერი ერისთვის და არავინ ეროვნულ დისციპლინის გარეშე, ეი ახალი მოძრაობის დედა აზრი.

და თუ ევროპის სახელმწიფოები განსაცდელის დროს მიმართავენ მართველობის ამ ახალ სისტემას — ეროვნულ დიქტატურას, როგორც აუცილებლობას, ის მით უფრო საჭიროა და მისაღები ჩვენი ქვეყნისათვის, რომელმაც თავისუფალი არსებობა დაჰკარგა და მის აღსადგენათ იბრძვის.

ორგანიული დარაზმვა, შინაური კინკლაობის უკუგდება და ძტკიცე მთლიანობა ეჭირვება ქართველ ერს დღეს ძეტად, ვინემ არასოდეს.

სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა თეთრი გიორგის მოძრაობა. სამშობლოს დაცვის ბუნებრივმა, მაგრამ დროებით შესუსტებულმა ინსტინკტმა მას შინაარსი მისცა და განავითარა.

თეთრი გიორგი საქართველოს მრავალ საუკუნოვან ბრძოლის ძიღწევაა, განსახიერება ეროვნული შეგნების მოუკვდავ სულის. იგი გულრწფელი ერთსულოვნობით შეპყრობილ ახალგაზრდა ქართველთ ცოცხალი თანხმობაა, - გაბედული, გარკვეული და გადამწყვეტი ეროვნულ პოლიტიკის მატარებელი, ქირურგიული აუცილებლობა საქართველოსთვის. სდგას რა ყველა პარტიათა გარეშე, თ. გ. უარყოფს ჯგუფურ პოლიტიკას რაც ერის სიძლიერეს ასუსტებს, ძიზნად ისახავს აღმოფხვრას ძალთა დაშლელი სულისკვეთება და გააქროს სექტანტური ფსიქოლოგია. თ. გ. საშინელის ულმობელობით შეებრძოლება ყოველგვარ პარტიულ გეგემონიას და კლასთა ბრძოლის მოძღვრებას. მას არ სწამს მექანიკური შეერთება, რადგან წარსულის გაკვეთილებიდან იცის, რომ პარტიათა კონგლომერატი უძლურია და სუსტი, წყარო მერყეობის და დაქსაქსულობის.

თეთრი გიორგი არ არის კუთვნილება არც ერთი კლასის, არც ერთი ჯგუფის, არამედ გამოხატვა საერთო ნებისყოფის, მთლიანობის სიმბოლო. თეთრ-გიორგელია ყველა ვინც ეროვნულ იდეალის უზენაესობას უდაოთ და უყოყმანოთ აღიარებს.

თ. გ. გარდუვალი ნებაა ქართველი ერის, ის კარნახია ჩვენი ამაყი წარსულის.

ბ. სალია

თეთრი ხომალდი.

(ჩემს ოდესღაც მეგობართ...)

თეთრი ხომალდი, დატვირთული ნორჩ იმედებით,
მოშორდა ნაპირს, დიდ წინაპართ წმიდა საფლავებს.
გზებს გვიქარგავდა ოკეანე ლურჯ ხავერდებით
და ცივ ზვირთებში გვინათებდა ზეცა ვარსკვლავებს.

მიგქროდით ზღვებზე უდარდელნი, და თეთრ ხომალდით
მიგვქონდა რწმენა დაუშრეტი, ახალგაზრდული;
წინ მიგვიძღოდა ჩვენ წარსულის ამაყი ლანდი,
გაჯმონასრული საუკუნეთ მწვავე შურდულით.

უცხო ქვეყნებში გადაგვლანდა ქარის შრიალმა...
ყრუ ქალაქებში დაუძებდა სული სადგურებს;
სისხლიან ხელით ანთებულმა ცეცხლების ალმა
ძველი კოშკების ნანგრევებიც გაგვინადგურეს. . .

და დავრჩით ოხლად, გაჩეხილნი ანთებულ დროში
და იალქნებიც ოკეანეს ამოეფარა,
მაგრამ გვესმოდა ჩვენ ფრიალი სამფერი დროშის,
ვხედავდით მკერდებს გამოშვერილთ სამშობლოს
ფარად.

და იალბუზიც იმშრალებდა ჭრილობებს ყინვით,
უხმობდა ბურანს, ქარტეხილებს, ელვიან დარებს;
მთავარსარდალი გამოცდილი, მწარე დაცინვით,
აძლევდა სალამს გამარჯვებულ ველურთა ჯარებს.

უკბილო ბედმა გადათხარა გზა უახლესი,
უსამართლობამ განაჩენი კვლავ წამოროშა
და აიმართა ერის გუშაგ ნორჩ სასახლეზე,
თვით ერის სისხლით შედებილი წითელი დროშა.

მზის მოყვარულნი ყინულებში ვეძებდით ბინას,
მაგრამ ცხელ გულში გამარჯვება მეფობდა სრული;
რამდენჯელ ქარმა თავზე რისხვით გადაგვირბინა
და ვერ გაჰყინა იმედები მზით დაისრული!

[illegible] რა მოხდა, რომ თვალები ურცხვათ დახუჭეთ,
უჩვენეთ ზურგი გამიშვლებულ ერის იარებს?
თუ იმ დედებმა ჩაიარეს თქვენ გვერდით ფუჭედ,
გამხდარ თითებით რომ ჩამოჭკრეს სიონის ზარებს?

თქვენ ვერ მიენდეთ მოქნილ კუნთებს და მაგარ
წვივებს,
და როცა სისხლით იღებება მწვანე ველები,
ფრთები მოგტეხეს თავისუფალ მთების არწივებს,
და მეგობრებათ გაიხადეთ მიწის შვილები.

იერიშის დროს მოგიდუნდათ ლომებს მკლავები,
მტერს გამარჯებულს დაეფინეთ ფეხებში ხიდათ;
ამჯობინებდა გაგეთხარათ აქ საფლავები,
ახალგაზრდობა დოლარებზე არ გაგეყიდათ.

ჯერ არ ჩამქრალა ბრძოლის ენი მაღალ ქედებზე,
ისვენებს ბარი უხემ ძალით გადანათელი...
ალბათ შეგხდებით ჩვენ ერთმანეთს ბარიკადებზე,
თუ კიდევ ბევრჯელ არ იცვალეთ ქურქი წითელი.

დე დავრჩე მარტოდ, გარიყული როგორც ფირალი,
მზე დამიბნელდეს, უცხოეთის სუსხმა გამყინოს,
მაგრამ ქართველი, მუდამ სევდით გამოშზირალი,
მტრების ქორწილში არ გადავკრავ ყანწებით ღვინოს.

და თუმცა მამულს აოხრებულს, მიგდებულს ოხლად
ჩვენ სამარცხვინოთ, ბინძურ ქუსლის ნაკვალი აზის,
მაგრამ მე ძჯერა, რომ მომავალს სანუგეშებლად
მოევლინება თამარის მზე და ჯვარი ვაზის.

გამოეშლება მოთმინებას კვირცხლი ჩახმახი,
(წინაპართ აჩრდილთ ჩრდილოეთის ქარი აჯავრებს.)
წამოიჭრება საფლავიდან პატარა კახი,
იშიშვლებს მახვილს და დარაზმავს საომრად ჯარებს!

და როცა მტერი, დასაბამით ჩვეული სირბილს,
მოსძებნის ბუნაგს და ზამთარი დაუხშობს კარებს,
გლეხს გადახედავს სიყვარულით თვალები ორბის. . .,
ფართე ბეჭებზე მძიმე ლოდებს წამოიფარებს.

დეე, შემცირდეს ჩვენი მწყობრი, დავრჩეთ ცოტანი!
გაშლილ იალქნებს ვერ დაჰფარავს ოში და ხავსი!
ჩვენ გმირი გვინდა ჭირ-ვარამის მედგრად ამტანი,
თოფრემ ლაჩრებით მტრის ნადიმიც ხომ არი სავსე.

შორით მოესმის შეტვეის ხმა, ყიეინი ვაშის!
მოდის ტფილისზე მთის ბელადი ნაფიც გუნდებით.
თეთრი გიორგი შეცურდება რაშით შავ ზღვაში...
თეთრი ხომალდით სამშობლოსკენ! თეთრ იმედებით!

ს. ბერეეიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა პატრიოტებო!

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა თეთრი ვიორგის მოძრაობა ეს ხალხური, ეროვნული ბრძოლაა. თეთრი გიორგი მიმართავს ახალგაზრდა ქართველ პატრიოტთ: გააძლიერეთ ჩვენი იდეები, გააფართოვეთ შეჭიდროთ ჩვენი ორგანიზაციები.

თეთრი გიორგელთა იდეა ეს ხალხის გულიდან გამოსული ეროვნული მოქმედებაა.

ერის ყველა ძალები: მუშა, გლეხი' ინტელიგენტი, მხედრობა — ჩვენს გარშემო უნდა შემოიჯაჭოს. ახალი გზით, ახალგაზრდული ენერგიით, თავდავიწყებით. ეროვნულ ომში — ეროვნული გზით! უნდა აღზდგეს საქართველო. უნდა გაიმარჯოს ჭეშმარიტებამ.

გვახსოვდეს მუდამ, რომ ჭეშმარიტება დოგმა არ არის, იგი ცხოვრებაა. ცხოვრება დამონებული ერისა — ომია, ბრძოლა და გამარჯვება მისი. გვახსოვდეს: ცხოვრება ამ ქვეყნათ, რომ იბრძოლო მამულის გასანთავისუფლებლათ.

მაშ, აღვადგინოთ ძველი ქართული რაინდული სული, რომელიც ქართლის უბედობით, დღევანდლამდე დაცემული იყო. შეგქმნათ ამაყი, ქედმაღალი სული, მტკიცე ხასიათი, ვაჟკაცური გამბედაობა, თავდადება. — ყველა ის რაც საჭიროა ომისათვის, გამარჯვებისავთვის.

გავაძლიეროთ ჩვენი რიგები. შევდუღდეთ დაცემულ გმირთა წმიდა სისხლით. დავლაშქროთ შეფიცულთა რაზმები. გვახსოვდეს რომ, სამშობლო ახალი თაობისაგან ელის ხსნას.

ცხოვრების სინამდვილემ ძველი თაობათა გზები დაამარცხა. ჩვენი მამები სამწუხაროთ ტყდებიან, ბერდებიან. ვისაც ხერხემალი მაგარი აქვს და გადურჩება განადგურებას, ის ახალ თაობასთან მოვა. — ს ხ ვ ა გ ზ ა ა რ ა რ ს ებ ო ბ ს.

ახალგაზრდობა დირსეულთ მეთაურათაც მიიღებს, თუ ჩვენი ახალგაზრდული სულით მოინათლებიან. თ უ ჩ ვ ე ნ ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ უ ლ კ ზ ა ს მ ი ი ღ ებ ე ნ.

„ის ურჩევნია მამულსა,
რომ შვილი სჯობდეს მამასა.“

მაშ, ერის ყველა სასიცოცხლო ძალები პატრიოტულ ახალგაზრდობა თეთრი გიორგის გარშემო! დიდება საქართველოს! გამარჯვება დაწყებულ ეროვნულ ომს!

საქ. პატრ. ახალგ. თეთრი გიორგი.

ჩ ვ ე ნ დ ა ი ს ი ნ ი.

შემცდარია ის აზრი ვითომც რუსეთი ახალ ხანას განიცდის, ახალ ცხოვრებას სჭედავს. თუ ღრმად ჩაუკვირდებით რაც მოხდა და რაც ხდება დღეს რუსეთში, ეს გახლავთ მხოლოდ გაგრძელება იმ უილაჯობისა, რომელიც მისი თანდაყოლილი თვისებაა. ბუნტები და პოგრომები იქ მუდამ ყოფილა პუგაჩოვები და ტურტლიანი ბერები რუსეთში არ გამოლეულან. დღევანდელი [illegible] ცრო. ვრებისა ისევ ის პუგაჩოვები არიან, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ სკითის ველურ ბუნებას ზედ დაერთო სემიტურიც და ეს ორი ანარქიული ძალა ერთად შეერთებული უფრო საშინლად ეგლინება კაცობრიობას.

დანგრევა ყველაფრის რაც ადამიანს თავის შრომით და ამაგით საუკუნოების განმავლობაში შეუქნია, წაბილწვა ყოველივე საუნჯის რითაც ადამიანი პირუტყვისაგან განსხვავებულა, აი მთელი ბუმბერაზობა რუსის ხალხის ისტორიულ მისიისა. ეს მისია მას მოსდევს თავიდანვე, სწვავს, ანადგურებს და ბილწავს რაც გზაზედ ხვდება.

ყველა ის ერი ვისაც რუსის ბატონობა განუცდია, ყოფილა მხოლოთ გაცარცული სულიერად და მატერიალურად, წამებული ფიზიკურად; არავითარი სხვა კვალი ადამიანობისა და მით უმეტეს კულტურისა მას არ დაუტოვებია.

აი ასეთი ფიზიკური აბუზარობა მთელი თავის სიტლანქით მოევლინა საქართველოს ბატონად ამ ერთ საუკუნის წინათ, სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც კულტი თავისუფლების და პიროვნების უაღრესად ყვაოდა ევროპაში. მაგრამ ამ ჩაპოწოლილმა ზვავმა ყველაფერს მოსწყვიტა საქართველო და წყვდიადით მოიცო იგი.

თუ რუსეთის იმპერატორებმა დაარღვიეს მეფე ერეკლესთან დადებული ხელშეკრულება, რუსის დღევანდელმა „დემოკრატიამ“ არა ნაკლები ცინიზმით და ყაჩაღობით დაიბყრო ახლად ამდგარი საქართველო. ასეთი გახლავთ რუსის ბუნება.

იმ თავითვე რუსის მონობამ ხალხს სუნთქვა შეუკრა. გასაქანი აღარ იყო. ყველგან რუსი და რუსული ბატონობდა, და ასი წლის ინკვიზიციამ თითქოს შეარყია ქართველის ბუნება.

რუსულმა ტენდენციებმა თითქოს ფეხი მოიკიდეს ჩვენში და ერთ დროს საშიში ხასიათიც მიიღეს. მტერი ხარობდა. მაგრამ საბედნიეროდ ეს იყო ცვლილება ნაძალადევი, უბადრუკთა ნაცოდვილარი. იგი შეეხო მხოლოდ ბერიფერიას, თვით ბუნება კი ქართველი ერისა დარჩა სადი, ტრადიციული.

ამიტომაც, როცა დადგა დრო ამ ტრადიციამ საუკუნოებით გაკაქებულმა მთელ თავის სიმძლავრით გაიღვიძა და ეს ტურტლიანი არსება, წურბელაავით რომ მის სხეულს ჩაჰკრობდა, ზიზღით მოიგლიჯა და თავისი გზა უჩვენა. ეს აკტი უკვე დიდი მნიშვნელოვანია. ქართველმა ხალხმა შეიგნო, რომ ის მისი ანტიპოდია რომ მასთან ყოფნა ეს თავის დაღუბვაა. ეს შეგნება ის არსენალია, რომელმაც უნდა დაამხოს ჩვენში რუსი და დატყვეებული სამშობლო გაგვინთავისუფლოს. უამისოთ ყოველივე ბრძოლა ამაოა.

მართალია ბედი ისევ უკუღმა დატრიალდა. მტერი ისევ შემოიჭრა ჩვენში და განმეორდა ხელახლა ძველი პოლიტიკა რუსის იმპერიალისტებისა. ჯერ ცეცხლი და მახვილი, რათა მონურ სულს გაედგა ფესვი ქართველ ხალხში, მერე ლაქუცი და გარეგანი ლიბერალობა, რომ რეტდასხმული, გაწამებული მსხვერპლი საბოლოოთ ეგდო მხეცს ხელში. მაგრამ ჩრდილოეთის გაყინულ ტვინს არ გაეგება, რომ მისი მარტივი და საბოლოო პოლიტიკა მასვე ეოჩრის სამარეს.

ქართველი გამოიბრძნა ბძოლაში, თავისუფალ სამშობლოსათვის ბრძოლა ძვალში და რბილში გაუჯდა. თუ ერს მოუსპეს ტაძრები და წაუბილწეს სარწმუნოება, მან თავის გულში ოჩილავი სალოცავები ააგო. მისი ხატები — ეს ათასობით დახვრეტილ გმირების სახეებია და მისი ლოცვა ეს მტრის სიკვდილი და სამშობლოს თავისუფლებაა.

არ შეიძლება ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ასეთ სულიერ ამაღლებას გამარჯვება არ მოჰყვეს.

რიცხვით მტერზედ ნაკლებნი, მაგრამ სულით მასზედ შეუდარებლათ ძლიერნი ჩვენ მას მოუგრეხთ კისერს, ისე როგორც შეჰფერის ტყიდან გამოვარდნილ ნადირს და საბოლოოდ ლახვარს ჩავცემთ.

მთელი ქართველი ხალხი დღეს ერთი რწმენით ერთ სურვილით არის გამსჭვალული. ყველა მზად არის ბრძოლისათვის და ამ სამამულიშვილო ბრძოლაში, ახალგაზრდობა, როგორც უფრო ამაყი და მგრძნობიერი ნაწილი ერისა დიდ როლს ითამაშებს. პატრიოტული ფანატიზმი, უანგარო დაუშრეტელი ენერგია, ეს აუცილებელი თვისებანი ბრძოლისა, პირველათ ყოვლისა ერის ამ ნაწილში უნდა ვეძიოთ.

ამის გარდა მათ ღრმად სწამთ ქართველი ერის საკუთარი ძალებით განთავისუფლება. ეს მათი ბუნებაა. ეს უნდა გახდეს ბუნებად მთელი ერისა და გამარჯვება ჩვენია.

ვ. ციცქიშვილი.

მ ა რ ქ ს ი ს შ ე მ დ ე გ

1783 წელს რუსეთმა თავისი ცნობილი მანიფესტით ფეხ ქვეშ გასთელა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და თითქოს საქართველოს ეროვნული სხეულის დასაცავად შეუდგა მისი ეროვნული „მე“ობის განადგურებას, მაგრამ 117 წელი საკმარისი ვერ გამოდგა ერის გადაგვარებისათვის; მართლაც ქართველ ერს ბევრი უნახავს პირდაღებული ვეშაპნი, რომელნიც მის მოსპობას ლამობდენ. ეს ვეშაპები უფრო ჭკვიანიც იყვნენ ვიდრე უკანასკნელი, რომელიც მხოლოდ იმით გაგს თავის წინამორბედთ რომ მათსავით კარგი მადის პატრონია, მხოლოდ რაც შეეხება ჭკუას, მის უქონლობაში მას პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება. ეს მისი ეროვნული დირსებაა.

სად არის დიდი სპარსეთი, არაბეთი, ბიზანტია, ოსმალეთი? რადა დარჩა მათი ნარსული დიდებისაგან? და ყველა ამათ სურდათ ჩვენი მონელება, ჩვენი ჩანთქმა. მაგრამ ჩვენი ერი იმისი მოწამე გახდა თუ როგორ დაჩაჩანაკდენ ეს წარსულის გოლიათნი და უთუოდ იმის მოწამეც გახდება თუ როგორ მიემატება მათ მეხუთეც, რომელმაც მას 1921 წელს პროლეტარიატი გაუნთავისუფლა და 26 მაისი მოუსპო.

სად იყო ეს პროლეტარიატი, რომელიც მოსკოვმა და მისმა აგენტებმა გაანთავისუფლეს, ჩვენ არ ვიცით მხოლოთ ეს კი ვიცით, რომ ჩვენმა სოციალისტებმა იგი წლები ეძია რათა რუსეთის დიდ პროლეტარიატისათვის ცოლათ შეერთოთ.

და ეს ილიუზია დამთავრდა მით რომ, 21 წელს რუსეთის პროლეტარიატი თავს დაგვესხა და მარქსიზმის იდეით და სახელით ცეცხლსა და მახვილს მისცა ჩვენი მხარე. მისივე სახელით მოხდა ჩვენი დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია. მარქსის სახელითვე ჩვენი ერის ისტორიას მიემატა სისხლიანი ფურცლები და დახოცილ მამულიშვილთა საფლავები.

სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ მარქსიზმი საქართველოში გავრცელებული იდეა იყო და ეს იყო მიზეზი, რომ ასე თავგამოდებით ედავებოდენ ერთმანეთს შემოსული მტერი და მენშევიკები, ორთავეთ მარქსის სახარება ეკავათ ხელში და ერთმანეთს მარქსისადმი იუდოობას სწამებდენ, თუმცა მტრის მხარეზე მეტი სიმართლე იყო მაქსიზმის მემკვიდრეობაში, რადგან რასიულად მათში მეტი თანამოძმენი აღმოჩნდენ.

ბოლშევიკების ბატონობამ ჩვენში ერთი დადებითი შედეგიც მოიტანა; გამოაფხიზლა ჩვენი ხალხის ის ნაწილი რომელსაც მარქსის „კაპიტალი“ და მისი მოძღვრება სამოთხეს მოუტანდა ეგონა და ეს ხალხი დღეს ეროვნულ ბრძოლის ნიადაგზე დადგა.

ქართველი ერი, ისე როგორც ყველა პატრიოტულათ განწყობილი ერები, მიხვდა რომ მარქსიზმი-საერთაშორისო შენთქმულება არის ეროვნებათა წინააღმდეგ.

ქართველმა ერმა თავი დააღწია უკვე საბოლოდ ორივე ჯურის მოციქულთა გავლენას და თავისი ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელობას მხოლოთ მათ მიანდობს ვინც ებრძვის არა მარტო ბოლშევიკურ რუსეთს და სხვა არარატიდან შემოხეზნულ ბოლშევიკურ ნაძირალებს, არამედ რუსეთს მენშევიკურს, წითელს, ყვითელს, შავს თუ თეთრს როგორც ისტორიულ მტერს, როგორც წინათ ებრძოდენ ჩვენი წინაპრები.

გაიოზი

ქართ. შევარდენი პარიზში.

პარიზში მყოფ ქართველ ახალგაზრდობამ დაარსა ქართული სასპორტო საზოგადოება შევარდენი მზგავსათ საქართველოში ყოფილ ტანთ. ვარჯ. საზ. შევარდენისა, რომელიც საოკუპაციო მთავრობამ მოსპო ისე როგორც ყველა ეროვნული დაწესებულებანი. წევრთა რიცხვი ჯერჯერობით 40 კაცამდე შესდგა, რომლებმაც უკვე დაიწყეს ვარჯიშობა.

იმედია, ემიგრაციაში მყოფი ქართველობა დაეხმარება ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ჩვენი ორგანო თეთრი გიორგი ახალგაზრდა ქართველ პატრიოტთა მოძრაობის გამომხატველი ორგანოა. ის არსებობს ახალგაზრდა ქართველ ემიგრანტთა ღარიბ ჯიბიდან გაღებულ გროშებით. ჩვენ მივმართავთ ყველა ქართველთ, ვისაც უყვარს სამშობლო, ვისაც სწამს ახალგაზრდობის მომავალი, დაეხმარეთ ჩვენ ორგანოს, დაეხმარეთ ვისაც რითი შეგიძლიათ.

გამომცემელი: საქართვ. პატრიოტულ ახალგ. თეთრი გიორგის საზღვარგარეთელი გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ს ა მ დ ი ვ ნ ო.

ÉDITION:

Secretariat Général de la Jeunesse Patriote Georgienne à l'Étranger

Rédaction: Thethri GUIORGUI,

19. Rue Roger, 19 — PARIS (14e)

Le Gérant: Félix Kaldenbach

Imprimerie Polyglotte N.-L. DANZIG, 20, Rue des Francs-Bourgeois, Paris